საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
MINISTER OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

*05016553462961З*

KA050165534629613

საქართველო, თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. 12; ტელ: (+995 32) 2510 700; ფაქსი: (+995 32) 2510 679
12, AL. Kazbegi ave. 0160 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 2510 700; Fax: (+995 32) 2510 679

**№835/გ** **27 / თებერვალი / 2013 წ.**

**საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს - საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს ბატონ შალვა თადუმაძეს**

ბატონო შალვა,

თქვენი 2013 წლის 15 თებერვლის N5385 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ყურადღებით გავეცანით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებს, და მიგვაჩნია რომ რეკომენდაციებში განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები ადექვატურად ასახავს საჯარო სექტორში არსებულ პრობლემატიკას, თუმცა გაგვაჩნია ცალკეული შენიშვნა და მოსაზრებები:

ორგანიზაციების რეკომენდაცია:

თავი III. გამჭვირვალე საჯარო სამსახური

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლეგიურ ორგანოებში (თვითმართველობები) მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის მიღების პროცესში. **სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობისა და კონსულტაციის ფორმატში** *სატრენინგო პროგრამების ორგანიზება* (მუნიციპალიტეტებში / სოფლებში), რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებას შემდეგ ძირითად საკვანძო თემებზე: საკრებულოს გადაწყვეტილებათა გასაჯაროობის ფორმები; გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურები და ვადები; მიღებული ნორმატიული, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრების ვადები და პროცედურები; გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადები და პროცედურები; საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით; ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა, (მათ შორის ბიუჯეტის), განხილვის პროცესში საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა.

**პასუხისმგებელი ორგანო: რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**

**ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის მაისი**

<u>„საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს“ პოზიცია:</u>

7517
1 03 3
3

მივესალმებით აღნიშნულ რეკომენდაციას და მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი კომპონენტია საჯარო სამსახურების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით, თუმცა უპრიანია სატრენინგო პროგრამების ორგანიზების მიზნით სამინისტროს მიეცეს ვადა 2014 წლის 1 ივნისამდე, რათა გათვალისწინებული იქნას აღნიშნული მიმართულება სახელმწიფო ბიუჯეტში და სამინისტროს სამოქმედო გეგმაში.

ორგანიზაციების რეკომენდაცია:

თავი IV. საჯარო ფინანსებისა და ქონების გამჭვირვალე მართვა

**საჯარო ბიბლიოთეკები - ხიდი ინფორმირებულობის გაზრდისა და ელექტრონული მმართველობის განვითარებისკენ**

თანამედროვე ტექნოლოგიებით (ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ახალი წიგნები) აღჭურვილი საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა საქართველოში არსებული რეგიონალური ბიბლიოთეკების ბაზაზე (2013 წლის განმავლობაში დაიწყება საპილოტე პროექტი, რომელიც მოიაზრებს საქართველოს რეგიონებში 5 ცენტრის შექმნას არსებული ბიბლიოთეკის ბაზაზე).

ინიციატივა, რომლის მიზნებია ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ბიბლიოთეკების საშუალებით მოსახლეობასა და მთავრობას შორის კომუნიკაციის გაძლიერება, ბიბლიოთეკარების ტრენინგი ელექტრონული მმართველობის რესურსების და ტექნოლოგიების გამოყენებაში, ინფორმირებულობის გაზრდის კამპანიის იმპლემენტაცია და ელექტრონული მმართველობის პოპულარიზაცია.

**პასუხისმგებელი ორგანო: სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტო/ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/საქართველოს რეგიონული განვითრების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო/საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო/ საქართველოს მთავრობის კანცელარია**

**განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის დეკემბერი**

**„საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს" პოზიცია:**

მიგვაჩნია რომ რეკომენდაცია არის ადექვატური რეგიონებში არსებულ საჭიროებებთან, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულის იმპლემენტირებისთვის სამინისტროს შეუძლია რეკომენდაციების მომზადება და მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, რადგანაც რეგიონული ბიბლიოთეკები არ განეკუთვნება „საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს" კომპეტენციის სფეროს.

ორგანიზაციების რეკომენდაცია:

თავი VI. მოქალაქეთა ინფორმირება და ჩართულობა
მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოებასთან კოორდინაციაში უნდა შეიმუშაოს საზოგადოების ეფექტიანი ჩართულობის კონკრეტული მექანიზმები. ასევე, უნდა გამოაქვეყნოს პარტნიორობა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, რომელიც გაეგზავნება სხვადასხვა დაინტერესებულ სამიზნე ჯგუფებს და მოხდება ანგარიშის საჯარო განხილვები (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, აკადემიური წრეები, სტუდენტები, ფართო საზოგადოება, ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობების ენაზე).

**პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს მთავრობის კანცელარია/რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**

**ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის მაისი**

უმცირესობების ენებზე OGP საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ***საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის ბეჭდვითი პროდუქტების (ბროშურები, ლიფლეტები)*** მომზადება და გავრცელება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (მუნიციპალიტეტებში / სოფლებში), რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებას.

***ადგილობრივ მედიასაშუალებებში სპეციალური საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის პროგრამების მომზადება და გადაცემა,*** რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონის

ამაღლებას OGP საქართველოს სამოქმედო გეგმის შესახებ. გადაცემებში ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა ფართო ჩართულობის ხელშეწყობა.

**პასუხისმგებელი ორგანო: რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**

**განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის დეკემბერი**

**„საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს" პოზიცია:**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და სამინისტრო მზად არის ჩაერთოს რეკომენდაციების იმპლემენტაციაში, თუმცა საინფორმაციო პროდუქტების მომზადება უპრიანია განახორციელოს უწყებამ, რომელიც უშუალო კურატორია საქართველოში „პარტნიორობა ღია მმართველობის".

პატივისცემით,

მინისტრი დავით ნარმანია